



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2078 2015 წლის 24 სექტემბერი ქ. თბილისი

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ქვეკრიტიკული დანადგარი „გამამრავლებელი I“-ის მაღალგამდიდრებული ურანის რეპატრიაციის მიზნით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის №1153 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ

1. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ქვეკრიტიკული დანადგარი „გამამრავლებელი I“-ის მაღალგამდიდრებული ურანის რეპატრიაციის მიზნით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის №1153 განკარგულების საფუძველზე, დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ქვეკრიტიკული დანადგარი „გამამრავლებელი I“-ის მაღალგამდიდრებული ურანის რეპატრიაციის სანაცვლო კომპენსაციის თანხით შესაძენი დანადგარებისა და ღონისძიებების ნუსხა თანდართული სახით.

2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაღალი ხედვის არის მქონე რადარისთვის საჭირო კომპიუტრის მშენებლობისა და მისი შემდგომი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შესაბამისი თანხების გათვალისწინება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას.

3. დაევალოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, 2016 წლის ბოლომდე შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას წარუდგინოს მეტეოროლოგიური რადარული და სხვა სახის ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების მაღალგამართლებადი პროგნოზების მომზადებისთვის საჭირო ღონისძიებების გეგმა.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



ბირთვული გამოძიების აღჭურვილობა

დანადგარების ნუსხა				განსახორციელებელი ღონისძიებები	
დასახელება	ერთეულის ფასი (აშშ დოლარი)	რაოდენობა	ჯამური ფასი	ტრენინგის საჭიროება	მოწოდება/ ინსტალირება
RIGAKU - რენტგენო-დიფრაქციული აპარატი (XRD)	118,090	1	118,090.00	X	X/X
RIGAKU - რენტგენო-ფლუორესცენციული აპარატი	50,495	1	50,495.00	X	X/X
Falcon 5000 რადიონუკლიდების იდენტიფიცირების პორტაბელური ხელსაწყო (გერმანიუმის დეტექტორით)	100,000	1	100,000	X	X
ალფა-ანალიზის ხელსაწყო (Canberra 12 სპექტრომეტრი)	70,000	1	70,000	X	X
Renishaw Raman-ის სპექტრომეტრი	207,579	1	207,579	X	X/X
Mettler Toledo-ს სასწორი ML54T	5,000	3	15,000		
წყლის დეიონიზაციის ხელსაწყო (Thermo Barnstead E-Pure #D4631)	5,000	1	5,000		
წყლის დეიონიზაციის სისტემის მარაგი ნაწილი	450	20	9,000		

Angstrom Advanced Inc.- ის ელექტრონული მასკანერებელი მიკროსკოპი (SEM)	175,000	1	175,000	X	X/X
სულ (აღჭურვილობა)			750,164		
ტრენინგი			100,000		
მოწოდება/ინსტალირება			90,000		
სულ			940,164		

მეტეო-რადარის მოწოდება

დასახელება	ერთეულის ფასი	რაოდენობა	ჯამური ფასი	ტრენინგის საჭიროება	მოწოდება/ ინსტალირება
WRM200 მეტეო- რადარი	1,031,740	1	1,031,740	შედის ფასში	შედის ფასში

კომპენსაციის სრული ღირებულება: 1,971,904 აშშ დოლარი